თათია წიქარაძე

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ტურიზმის სკოლა

ანჟერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

უნივერსიტეტში სწავლის დაწყებიდან ყოველთვის მინდოდა, რომ სტუდენტობის პერიოდში საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა მქონოდა. ჩემთვის ეს მხოლოდ სხვა ქვეყანაში წასვლას არ ნიშნავდა, მინდოდა მენახა, როგორია სწავლა განსხვავებულ გარემოში, გამეცნო ახალი ადამიანები და საკუთარ თავსაც უფრო კარგად დავკვირვებოდი. ეს სურვილი 2026 წლის შემოდგომის სემესტრში ავიხდინე, როდესაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში საფრანგეთში, ანჟერის უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა მომეცა.

ანჟერში გატარებული პერიოდი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოცდილება აღმოჩნდა. უცხო ქვეყანაში ცხოვრება თავიდან ცოტა რთულიც იყო, რადგან ბევრი რამ ჩემთვის სრულიად ახალი იყო. ყოველდღიურად მიწევდა დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება და ისეთ სიტუაციებთან გამკლავება, რომლებსაც საქართველოში ყოფნისას ნაკლებად ვაწყდებოდი. სწორედ ამ ყველაფერმა დამანახა, რომ ბევრად უფრო დამოუკიდებელი და თავდაჯერებული გავხდი, ვიდრე მანამდე მეგონა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის აკადემიური გამოცდილება. როგორც ტურიზმის მიმართულების სტუდენტს, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემი სპეციალობის სწავლა სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში და განსხვავებული სასწავლო გარემოს გაცნობა. ლექციებზე მიღებული ცოდნის გარდა, ბევრ საკითხს პრაქტიკული და განსხვავებული პერსპექტივიდან შევხედე. ამ სემესტლის ერთ-ერთი ყველაზე კარგი ნაწილი ადამიანებთან ურთიერთობაც იყო — გავიცანი სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები, გავიჩინე ახალი მეგობრები და მათთან ერთად ბევრი საინტერესო და სახალისო მომენტი გავატარე.

საფრანგეთში ყოფნამ მოგზაურობის შესაძლებლობაც მომცა. სხვადასხვა ქალაქისა და ადგილის ნახვამ კიდევ უფრო მეტად გამიღრმავა ინტერესი მოგზაურობისა და კულტურული ტურიზმის მიმართ. ახალი ადგილების საკუთარი თვალით ნახვა და სხვადასხვა კულტურასთან შეხება ჩემთვის მხოლოდ დასვენება არ ყოფილა, ეს იყო შესაძლებლობა, უფრო კარგად დამენახა ის სფერო, რომელსაც მომავალ პროფესიად ვირჩევ. ანჟეს უნივერსიტეტში გატარებულმა სემესტრმა ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. აქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მომავალში აუცილებლად გამოვიყენებ როგორც სწავლის, ისე კარიერის მიმართულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ პერიოდმა დამიტოვა ბევრი მოგონება, ახალი მეგობრები და განცდა, რომ კომფორტის ზონიდან გამოსვა ხშირად სწორედ ის ნაბიჯია, რომელიც ყვრლაზე მეტად გვზრდის.